საკლუბო ჩემპიონატი

სტრუქტურა და განვითარების სტრატეგია

1. განვითარების გეგმა შინაარსი;

საკლუბო ჩემპიონატს დიდი მნვნელობა ენიჭება ძიუდოს პოპულარიზაცის და შედეგიანობის გაზდის კუთხით. იგი კარგად აპრობირებული სისტემაა მთელი რიგი მოწინავე ქვეყნებში: საფრანგეთი, გერმანია, იაპონია, ავსტრია და სხვ. რა თქმა უნდა ამ ქვეყნებისათვის დამახასიათებელი თავისებურებებიდან გამომდინარე. მაგალითად, იაპონიაში იგი წარმოდგენილია საუნივერსიტეტო ჩემპიონატის სახით, მაშინ როდესაც გერმანიაში ხორციელდება წმინდა საკლუბო პრინციპებზე დაყრდნობით. საფრანგეთში საკლუბო სისტემის არსებობა გახდა სწორედ იმის საფუძველი, რომ ამ ქვეყანაში ძიუდო მოწინავე პოზიციას იკავებს მასობრიობის კუთხით.

საქართველო საკლუბო სისტემას არ იცნობდა 2013 წლამდე. ჩვენს მიერ განხორციელებული რეფორმის ფარგლებში შევძელით ის, რომ ერთის მხრივ შევინარჩუნეთ აქამდე არსებული სისტემის ყველა დადებითი ასპექტი, ხოლო მეორეს მხრივ საფუძველი დავუდეთ ყველაზე უფრო თანამედროვე და პრაქტიკული სისტემის ჩამოყალიბებას. 16 წლამდელთა საკლუბო ჩემპიონატმა არა მხოლოდ გაზარდა სპორტსმენთა და მწვრთნელთა ჩართულობა სპორტის ამ სახეობაში, არამედ განაახლა და დაამკვიდრა ყველა ის პრინციპი, რაზეც უნდა ეფუძნებოდეს თანამედროვე, დემოკრატიულ საწყისებზე აგებული ფედერაციის სისტემა. სწორედ უკანასკნელ პერიოდში განხორციელებულმა ამ ცვლილებებმა მოგვცა საშუალება გვეფიქრა ამ მიდგომის კიდევ უფრო გაფართოებისა და სრულყოფისაკენ, რაც გამოიხატა იმაში, რომ ფედერაციის შიგნით შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ შეიმუშავა საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით და საქართველოს რეალობიდან გამომდინარე საკლუბო ჩემპიონატის ჩატარების გეგმა უფროს ასაკში. ეს არის სრულიად ახალი სიტყვა ქართული ძიუდოს ისტორიაში, რომელიც ემსახურება, ჩვენი ქვეყნისთვის მართლაც რომ უმნიშვნელოვანეს სპორტის ამ სახეობის ახალ საფეხურზე გადასვლას.

2 გუნდების შექმნის წესი და პირობები

- საკლუბო ჩემპიონატისთვის იქმნება 7 (შვიდი) გუნდი, 7 წონითი კატეგორიით 60; 66; 73; 81; 90; 100; +100
- გუნდები იქმნება მხოლოდ იმ სპორტსმენებისგან ვინც საქართველოს პირველი და მეორე დონის ეროვნულ ჩემპიონატებში დაიკავებენ საპრიზო ადგილებს.
- საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენებისგან თითოეულ წონაში იქმნება 7 საუკეთესო რეიტინგის მქონე სპორტსმენთა ჯგუფი.
- რეიტინგში სპორტსმენის ადგილი განისაზღვრება მის მიერ დაკავებული საპრიზო ადგილიდან გამომდინარე
- პირველი დონის ჩემპიონატში მესამე ადგილზე გასული ორი სპორტსმენი, რეიტინგის 3-4 ადგილებს იყოფენ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.
- წონის რეიტინგის მეშვიდე ადგილს იკავებს მეორე დონის ჩემპიონატში მესამე ადგილზე გასული სპორტსმენი. (შენიშვნა: მეორე დონის ჩემპიონატში თამაშდება მხოლოდ ერთი მესამე ადგილი)
- სპორტსმენთა გადანაწილება გუნდებში ხდება თანაბარი სიძლიერის გუნდების შექმნის პრინციპით, შემდეგი სქემის მიხედვით.

1 გუნდი	2 გუნდი	3 გუნდი	4 გუნდი	5 გუნდი	6 გუნდი	7 გუნდი
60კგ-1	60კგ-2	60კგ-3	60კგ-4	60კგ-5	60კგ-6	60კგ-7
66კგ-2	66კგ-3	66კგ-4	66კგ-5	66კგ-6	66კგ-7	66კგ-1

73კგ-3	73კგ-4	73კგ-5	73კგ-6	73კგ-7	73კგ-1	73კგ-2
81კგ-4	81კგ-5	81კგ-6	81კგ-7	81კგ-1	81კგ-2	81კგ-3
90კგ-5	90კგ-6	90კგ-7	90კგ-1	90კგ-2	90კგ-3	90კგ-4
100კგ-6	100კგ-7	100კგ1	100კგ2	100კგ-3	100კგ4	100კგ5
+100კგ-7	+100კგ-1	+100კგ2	+100კგ3	+100კგ4	+100კგ5	+100კგ6

- რეიტინგის შემდგომი სპორტსმენებისგან კეთდება სარეზერვო ჯგუფები რომელნიც ჩემპიონატში ერთვებიან ძირითადი გუნდის წევრების **არ/ვერ** მონაწილეობის შეთხვევაში.

2. **გუნდების დასახელება და მათთვის მწვრთნელ-მენეჯერის დანიშვნის წესი**

- გუნდების დაკომპლექტების შემდეგ ხდება მათთვის წარმომადგენელი პირების დანიშვნა (მწვრთნელ-მენეჯერი)
- წარმომადგენლები შეირჩევა იმ 7 საუკეთესო შედეგის მქონე კლუბის მწვრთნელებისგან, რომლებიც მონაწილეობენ 16 წლამდე ასაკის საკლუბო ჩემპიონატში.
- წარმომადგენლების დანიშვნა გუნდებისთვის ხდება შემთხვევითი შერჩევის პრინციპით (ლოტოტრონი)
- კონკრეტული გუნდისთვის წარმომადგენლის დანიშვნის შემდეგ , ეს გუნდი ჩემპიონატში და ყველა სხვა ურთიერთობაში , მთელი საშეჯიბრო წლის განმავლობაში მონაწილეობს წარმომადგენლის უკვე დარეგისტრირებული კლუბის სახელით.

3. **შეჯიბრების ჩატარების წესი და ვადები**

- შეჯიბრება ტარდება ორ ეტაპად. საკვალიფიკაციო და ფინალური ეტაპი
- საკვალიფიკაციო ეტაპი ტარდება გაზაფხულზე 3 თვის განმავლობაში , თვეში ორი შეხვედრა

- გუნდების შედგენიდან 10 დღეში საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია აქვეყნებს შეხვედრების და ზოგადად შეჯიბრების ჩატარების კალენდარს
- საკვალიფიკაციო ეტაპზე ხდება 4 საუკეთესო გუნდის შერჩევა ფინალური ეტაპისთვის
- საკვალიფიკაციო ეტაპზე გუნდები ერთმანეთს ხვდებიან წრიული პრინციპის მიხედვით (ყველა ყველას წინააღმდეგ), რა დროსაც აგროვებენ ქულებს კონკრეტულ გუნდში არსებული სპორტსმენთა მოგებული შეხვედრების პროპორციულად
- საბოლოო ქულათა რაოდენობა კონკრეტული გუნდისთვის ტოლია საკვალიფიკაციო ეტაპზე ამ გუნდის სპორტსმენების მიერ მოგებული შეხვედრების საერთო ჯამისა
- ფინალური ეტაპი ტარდება შემოდგომაზე
- ფინალურ ეტაპზე მონაწილეობს 4 საუკეთესო შედეგის მქონე კლუბი
- ფინალურ ეტაპზე ორის ნაცვლად თამაშდება მხოლოდ ერთი მესამე საპრიზო ადგილი

4. საკლუბო ჩემპიონატის ორგანიზება და ხელმძღვანელობა

- საკლუბო ჩემპიონატის ორგანიზებას ახორციელებს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტოს თანადგომით
- შეჯიბრების ჩატარების წესსა და პირობებს, მასში ცვლილებების და დამატებების შეტანის წესს ადგენს ძიუდოს ფედერაცია , რასაც საჭიროების შემთხვევაში ამტკიცებს სამინისტრო

5. საკლუბო ჩემპიონატში მონაწილე სუბიექტების უფლება მოვალეობები

ა) . წარმომადგენელი

- კლუბის წარმომადგენლად პირის დანიშვნის შემდეგ წარმომადგენელი ხდება ვალდებული ყველა იმ ურთიერთობაზე, რომელიც წარმოიშვება მთელი საშეჯიბრო წლის განმავლობაში
- იგი წარმოადგენს კლუბს ფედერაციასთან ურთიეთობაში
- უზრუნველყოფს გუნდის წევრების ინფორმირებას ყველა საკითხთან დაკავშირებით
- უზრუნველყოფს სათანადო დოკუმენტაციის წარმოებას

- პასუხისმგებელია გუნდის მონაწილეობაზე კონკრეტული შეხვედრის დროს
- ვალდებულია პრობლემის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ფედერაციას
- წარმომადგენელს უფლება აქვს უარი განაცხადოს შესაბამისი პოზიციის დაკავებაზე, რა დროსაც საშეჯიბრო წლის დაწყებამდე უნდა აცნობოს ფედერაციას. ამ შემთხვევაში მის ადგილს იკავებს 16 წლამდელთა , რეიტინგით მომდევნო, კლუბის მწვრთნელი
- წარმომადგენლის მიერ მისდამი დაკისრებული ფუნქციების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მას შეიძლება ჩამოერთვას წარმომადგენლის ფუნქცია ფინალური ეტაპის დამთავრებამდე ნებისმიერ დროს

ბ) სპორტსმენი

- საშეჯიბრო სეზონის დაწყებამდე სპორტსმენს უფლება აქვს უარი განაცხადოს საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობაზე, რა დროსაც მის ადგილს იკავებს სარეზერვო სპორტსმენთა გუნდიდან რეიტინგით , იმ წონაში ყველაზე უფრო წინ მყოფი სპორტსმენი.
- თანაბარი რეიტინგის შემთხვევაში სარეზერვო სპორტსმენის ჩართვა ხდება შემთხვევითი შერჩევის პრინციპით
- სპორტმენი, რომელიც არასაპატიო მიზეზით არ მიიღებს მონაწილეობას საკვალიფიკაციო შეხვედრებში, ავტომატურად ეთიშება მთელ საშეჯიბრო პროცესს, როგორც მიმდინარეს ასევე მომდევნო ორი წლის განმავლობაში
- საპატიო მიზეზად ჩაითვლება შემდეგი:
  1. თუკი მონაწილეობას ღებულობს საზღვარგარეთ გასამართ ტურნირში, საქართველოს ეროვნული ნაკრების ეგიდით
  2. ავადმყოფობა (ტრავმა)
  3. ფორსმაჟორი

ძიუდოს ფედერაციას საპატიო მიზეზის შესახებ უნდა ეცნობოს მინიმუმ ერთი კვირით ადრე, გარდა ზემოაღნიშნული მეორე და მესამე შემთხვევებისა.

- საპატიო მიზეზით საკვალიფიკაციო შეხვედრებში სპორტსმენის ორჯერ არმონაწილეობის შემთხვევაში იგი ვერ მიიღებს მონაწილეობას მიმდინარე წლის ფინალურ ეტაპზე. ეს წესი არ ვრცელდება საპატიო მიზეზების ჩამონათვალის პირველ შემთხვევაში.
- ერთხელ ჩანაცვლებული სარეზერვო სპორტსმენი საფინალო შეჯიბრის ჩათვლით რჩება გუნდის წევრად
- ერთ წონაში ორი სპორტსმენის ყოლის შემთხვევაში გუნდის დაკომპლექტების საკითხს წყვეტს წარმომადგენელი

6. დაფინანსების წესი და პირობები

- ფინანსებს სპორტსმენთა და მწვრთნელთა პრემირების, ასევე შეჯიბრების ჩატარების უზრუნველსაყოფად გამოყოფს სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
- საკვალიფიკაციო ეტაპზე ყოველი მოგებული შეხვედრისთვის (იგულისხმება გუნდის წევრის მიერ შეხვედრის მოგება და არა მთლიანად გუნდის მოგება) კლუბს ეძლევა 1000 ლარი, რაც ნაწილდება შემდეგი პრინციპით:

  საერთო თანხის 35% ნაწილდება მხოლოდ შეხვედრამოგებულ სპორტსმენებზე , თანხის 5% ეძლევა წარმომადგენელს, ხოლო ნაშთი ნაწილდება კლუბის ყველა წევრზე თანაბრად (მოგებული, წაგებული, წარმომადგენელი)

- წარმომადგენელს ერთ შეხვედრაში შეიძლება მიეცეს თანხა არაუმეტეს 500 ლარისა. ამ ლიმიტის გადაჭარბების შემთხვევაში თანხა ნაწილდება მოგებულ სპორტსმენებს შორის

- შესაბამისად საკვალიფიკაციო ეტაპის საპრიზო თანხა შეადგენს 147000 ასორმოცდაშვიდი ათას ლარს, რაც ფორმულის სახით გამოიხატება შემდეგნაირად
  7000*21=147000 ლარი
  საიდანაც:
  7000 - ერთ შეხვედრაში საპრიზო თანხის რაოდენობა
  21 - სულ კლუბებს შორის შეხვედრათა რაოდენობა

- ფინალური ეტაპისთვის საპრიზო თანხა განისაზღვრება 160000 ლარით, რაც ნაწილდება შემდეგი პრინციპის მიხედვით

  70000-პირველი ადგილი
  50000-მეორე ადგილი
  30000-მესამე ადგილი
  10000-მეოთხე ადგილი

- ფინალურ ეტაპზე დაწესებული საპრიზო თანხები თითოეული გუნდის (კლუბის) წევრებს შორის ნაწილდება ფედერაციის მიერ მიღებული დებულების საფუძველზე

შენიშვნა: შესაძლებელია საპრიზო თანხების კორექტირება